HTMC-PM-RO-006-V.1.0

პაციენტის მომზადება კომპიუტერული ტომოგრაფიისათვის

2024 წელი

დოკუმენტი	სტანდარტული ოპერაციული პროცედურა
დასახელება	**პაციენტის მომზადება კომპიუტერული ტომოგრაფიისათვის**
დოკუმენტის ნომერი	1.0
მფლობელი	კლინიკური დეპარტამენტები
დანერგვის თარიღი	19.07.24
მომდევნო გადახედვის დრო	07.25
ავტორი	**რადიოლოგიის დეპარტამენტი**
დამტკიცებულია	კლინიკური დირექტორი

1. მიზანი:

1.1 პაციენტის კომპიუტერული ტომოგრაფიისათვის მომზადების სტანდარტიზაციისა და უსაფრთოების უზრუნველყოფა კლინიკაში.

2. გამოყენების სფერო:

სამედიცინო, საექთნო და რადიოლოგიური დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი.

3. პროცედურა:

3.1. რეპროდუქციული ასაკის ქალებთან უნდა გამოირიცხოს ორსულობა

(გამოიკითხოს ანამნეზი, აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ორსულობის ტესტი)

3.2 ყოველი კ.ტ. კვლევის ბოლოს უნდა იყოს მითითებული მიღებული დასხივების ჯამური დოზა.

3.3 ი/ვ კონტრასტირების შემთხვევაში:

3.3.1 ი/ვ საკონტრასტო ნივთიერების ნეფროტოქსიურობის გამო, კვლევის წინ აუცილებელია გავითვალისწინოთ სისხლში კრეატინინის დონე.

3.3.2 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ პაციენტებს შაქრიანი დიაბეტით, რომლებიც იღებენ მეტფორმინს, სიოფორს, გლუკოვანსს . . . ი/ვ კონტრასტირებისას შესაძლო ლაქტაციდოზის განვითარების გამო პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს კვლევამდე 48 საათით ადრე.

3.3.3 იოდით პროვოცირებულ ჰიპერთიროიდიზმის თავიდან აცილების მიზნით დეტალურად უნდა გამოიკითხოს ანამნეზი აქცენტით ფარისებრ ჯირკვალზე, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმდეს პლაზმაში ჰორმონების დონე. საყურადღებოა პაციენტები ფარისებრი ჯირკვლის კარცინომით, რომლებთანაც ი/ვ კონტრასტირებით ჩატარებული კვლევის შემდეგ 1 კვირის განმავლობაში ფარისებრი

ჯირკვლის i-131-ით ჩატარებული სცინტიგრაფია ცრუ უარყოფით შედეგს მოგვცემს; უკუნაჩვენებია ი/ვ კონტრასტირება რადიაქტიური იოდით მკურნალობის დაწყებამდეც.

3.3.4 დეტალურად უნდა გამოიკითხოს ალერგიული ანამნეზი ზოგადად, ასევე კონკრეტულად იოდ-შემცველ საკონტრასტო ნივთიერებებზე და იოდზე.

3.3.5 თუ პაციენტს ანამნეზში აქვს მძიმე ალერგიული რეაქციები იოდ-შემცველ პრეპარატებზე, კონტრასტული კვლევის ჩატარება უკუნაჩვენებია; პაციენტს უნდა შევთავაზოთ ალტერნატიული კვლევები(მ.რ.ტ.; ულტრაბგერა . . .)

3.3.6 თუ პაციენტი არის ალერგიული(იოდ-შემცველ საკონტრასტო ნივთიერებებზე ან იოდზე მსუბუქი ხასიათის ალერგიული რეაქციის(ურტიკარია) ჩათვლით), უნდა შეფასდეს გამოკვლევის რისკი და კონტრასტული გამოკვლევის აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს პრემედიკაცია – 50მგ პრედნიზოლონი per os, 13, 8 და 1 საათით ადრე, ასევე კვლევამდე 1 საათით ადრე ანტიჰისტამინური საშ-ბა i/m.

2

ძირითადი მოქმედებები:

- რეგულარულად შეაფასეთ ამ SOP-ის ეფექტურობა.
- საჭიროებისამებრ იზრუნეთ გაუმჯობესებაზე.